



ფინანსების, ექსტენციისა და კოოპერატივების განვითარება ქართველი ფერმერებისათვის

FinExCoop საქართველო



ძვირფასო მკითხველო,

ედიტორიალი

საქართველო პანდემიას არ გაქცევია. კოვიდ-19-ის პირველი ტალღის დროს, ქვეყნის ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა მაჩვენებელი ერთ-ერთი დაბალი იყო მსოფლიოში. მაგრამ მალევე დაიწყო მეორე ტალღაც. დიდი დანაკარგით: 2021 წლის თებერვლისათვის სახეზე იყო 262 ათასი ინფიცირებული (მოსახლეობის

დაახლოებით 7%) და 3,300 გარდაცვლილი. 2020 წლის დეკემბერში, შემთხვევების რიცხვმა პიკს მიაღწია და 5,000-ს გაუტოლდა. ამ დროისთვის, საქართველოს მთავრობა ისევ დაუბრუნდა მკაცრ ზომებს, იმისათვის რომ თავიდან აეცილებინათ ვირუსის გავრცელება. შეზღუდვებმა შედეგი გამოიღო და სახელმწიფოს საშუალება მიეცა შეემსუბუქებინა აკრძალვები, მიუხედავად იმისა რომ ვაქცინის პირველ დოზებზე ქვეყანას ხელი მიუწვდება, ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვევლი რჩება.

ადამიანური დანაკარგის გარდა, Covid 19-მა ქვეყანაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე მძიმე ეკონომიკური კრიზისი შექმნა. მეტწილად ეს განპირობებული იყო ტურიზმსა და სატრანზიტო ვაჭრობაზე დიდი გავლენიდან გამომდინარე, რომელიც პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა და 2020 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის წილი 6.1 %-ით შემცირდა. ეს მძიმე მაჩვენებლები ალბათ რეგიონში, კოვიდ-19 ის ნეგატიური გავლენის შეუფასებელი დანაკარგია. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მათთვის მთავარ აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ქვეყანამ ეკონომიკა უფრო მეტად მდგრად და მრავალფეროვან საფუძვლებზე აღიდგინოს. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქვეყნის სამომავლო შესაძლებლობებს მიენიჭება, რომ მისი ეკონომიკა ისევ დაუბრუნდეს ძლიერ განვითარებას, წარსულში არსებული დანაკარგებისა და მიუხედავად.

არსებული ფონის მიუხედავად, გვჯერა რომ აგროკულტურა და აგრო-ინდუსტრია მომავალში კარდინალურ როლს ითამაშებს. ამ დრომდე, ქვეყნის აგროკულტურის პროდუქტიულობამ რეგიონის სხვა ქვეყნებს გადააჭარბა და ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე დიდი მოგება მოიტანა. მიუხედავად იდეალური ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს შემოსავლები მის მეზობლებთან შედარებით ბევრად დაბალია, თუ არ ჩავთვლით თხილთა და ნიგვზით ვაჭრობას.

2020 წელს, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, სოფლის მეურნეობის დარგში საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა - რეალური 3%-იანი ზრდით. წარმოება, რომელიც აგრო-იდუსტრიის 45%-ს შეადგეს, ასევე კარგად მუშაობდა, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი ეკონომიკა. აღნიშნული დადებითი შედეგი ნაწილობრივ უკავშირდება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ და შეთავაზებულ ანტი-პანდემიურ სპეციალურ ეკონომიკურ პაკეტს. მიუხედავად იმისა, რომ ნათესი მიწების რაოდენობა 2020 წლისთვის გაიზარდა, ის ჯერ კიდევ 2013 წლის მონაცემების მხოლოდ ორ მესამედს შეადგენს. სასოფლო სამეურნეო მიწების სრული გამოყენებითა და უკეთესი მოსავლიანობით, საქართველს პოტენციურად შეუძლია, რომ წარმოება ათ წელზე ნაკლებ დროში გააორმაგოს, რასაც აზერბაიჯანმა და სომხეთმა FSU-ის მერე მიაღწიეს.

FinExCoop მზადაა რომ აღნიშნული მიზნის მიღწევას ხელი მაქსიმალურად შეუწყოს.

FINEXCOOP-ის შესახებ

Finexcoop-ის 4 წლიანი პროექტი ევროპული გაერთიანების მიერაა დაფინანსებული, სამეზობლო ინვესტიციების პროგრამის ნდობის ფონდის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ის თავისთავად არ წარმოადგენს ENPARD პროექტს (ევროპული სამეზობლო მხარდაჭერის პროგრამა აგროკულტურისა და სოფლის განვითარების დარგში), საქართველოში ის მთლიანად მათ მიერაა კოორდინირებული. FinExCoop-ი მენეჯმენტირებულია საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ და იმპლემენტირებულია კონსორციუმის მიერ რომელიც შედგება, ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლის, მერსი კორსის, ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის და ლუარის სოფლის მეურნეობის პალატის მიერ შვილობილი კომპანია Proparco-ს საშუალებით, AFD ასევე უზრუნველყოფს საკრედიტო ხაზებს სოფლის მეურნეობისათვის, ორი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტის, კრედო ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალისათვის.

FinExCoop საქართველოს მთავარი მიზანია, ახალი თაობის, მცირე და საშუალო, საოჯახო სამეურნეო მენარმეების ხელშეწყობა, რომლებსაც შეეძლება იყვნენ კონკურენტუნარიანი შემდეგი გარემოებების დახმარებით:

- გაუმჯობესებული წვდომა კრედიტებსა და სხვა ფინანსურ მომსახურებებზე, მათ შორის დაზღვევაზე (**Fin - ფინანსურობა**)
- უფრო მაღალი პროდუქტიულობა, რაც უკავშირდება ტექნიკურ ცოდნას და უკეთესი საშუალებებისა და აღჭურვილობის სწორად გამოყენებას (**Ex - ექსტენცია**)
- მათი მონაწილეობა ბაზარზე ორიენტირებულ კოოპერატივებში ან სხვა დაწესებულებებში, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკურ აღჭურვილობებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, მოსავლის განმტკიცებას და მისი ღირებულების გაზრდას, უკეთესი შენახვის, გადამამუშავებისა და მარკეტინგის საშუალებით (**Coops - კოოპერატივები**).



როგორ ვმუშაობთ?

FinExCoop ორ მიდგომას აერთიანებს:

მიდგომა ზევიდან ქვევით: იფიქრეთ ჰორიზონტალურად ეროვნულ დონეზე. FinExCoopმხარს უჭერს პარტნიორ ფინანსურ ორგანიზაციებს FinExCoop მხარს უჭერსპარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებს (კრედოს და კრისტალს) რომლებსაც მიღებული აქვთ სპეციალური საკრედიტო ხაზები Proparco-სგან, საკონსულტაციო სერვისები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან (MEPA) დამისი სოფლის განვითარების სააგენტოსგან,და ასევე, კოოპერატივების განვითარების დეპარტამენტისგან.



მიდგომა ქვევიდან ზევით: მოქმედება ადგილობრივ დონეზე. საპილოტე პროექტების იდენტიფიცირება და მათი განვითარების იმპლემენტაცია. შერჩეულ სტრატეგიულ ღირებულებათა ჯაჭვებში: მეცხოველეობა და მერძევეობა, კარტოფილის წარმოება, თანამედროვე ვაშილის ბალები და მერძეული თხეები.

ორივე მიდგომა ეფუძნება AFD-სთან, ევროკავშირთან, RDA-სთან მუდმივ ურთიერთთანამშრომლობას, რომელთანაც AFD-მ ხელი მოაწერა FinExCoop-ის პარტნიორობის ხელშეკრულებას და სხვა განვითარების ორგანიზაციებთან და პროექტებთან საქართველოში. ისინი საჯარო და კერძოპარტნიორობის ფართო არეალს მოიცავენ.



ზევიდან ქვევით: პარტნიორი ფინანსური ორგანიზაციების მხარდაჭერა



ამჟამად ჩვენ FinExCoop PFI-სთან აგროკრედიტის შეფასების სისტემის შემუშავებაზე ვმუშაობთ, რომელიც დაეფუძნება აგროკულტურაში მთლიანი მოგების სისტემურ კოლექტიზაციას რეგიონის ყველა მთავარ პროდუქტზე. სისტემა ეყრდნობა უმსხვილეს ALES სისტემას, რომელსაც თურქული საკრედიტო ბიურო იყენებს და რომელიც რეგულარულად ახლდება ფრანკფურტის სკოლის მიერ.

ჩვენ, **ების შესაძლებლობებს აგროკრედიტირების სფეროში**, სპეციალური ტრენინგებისა და კონსულტაციების დახმარებით ვაძლიერებთ. ჩვენი ტრენინგები და საკონსულტაციო საქმიანობა ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის გაყიდვებისა და მარკეტინგის გაუმჯობესებაზე, მყარი ბიზნესის მოდელებისა და მიწოდების მექანიზმების საშუალებით, სოფლის მეურნეობის რისკების მენეჯმენტზე, სოფლის მეურნეობის ინვესტიციების, კოოპერატივების დაფინანსებაზე, ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსებასა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტზე.



ჩვენ ვმუშაობთ ახალი ფინანსური პროდუქტების შემუშავებაზე, რომლებიც საჭიროა ქართველი ფერმერების და კოოპერატივებისთვის. FinExCoop-ის მიერ, წამყვან საერთაშორისო სასერთიფიკატო სააგენტოსთან ერთად, მომზადდა საწყობის დაფინანსების სისტემა პირველადი გამოყენების პროდუქტებისათვის (ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული და ა.შ). სისტემა, რომლის ამოქმედებაც 2021 წლის ზაფხულში იგეგმება, შესაძლებელია ასევე გამოყენებული იქნას, გადამუშავებული პროდუქტების შემნახველი საწყობების დაფინანსებისათვის (განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ყველისა და ღვინის დაძველებისათვის). 2012 წლიდან 2020 წლამდე ჩატარდა ფასების თვიური ვარიაციის სისტემური ანალიზი, იმისათვის რომ დაგვედგინა ყველაზე საინტერესო სეგმენტი. FinExCoop-ის გუნდმა ასევე გამოიკვლია 146 ადგილობრივი დაინტერესებული მხარე, რომლებსაც პროდუქტების ცივად შენახვის საშუალება აქვთ, მათი უმეტესობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ჩვენ აგროკულტურის დაფინანსების სფეროში, სოფლის მეურნეობის გონივრულ გამოყენებას ვუჭერთ მხარს, როგორცაა მაგალითად სატელიტური გამოსახულების გამოყენება. ჩვენ მიერ, RDA და GITA-სთან ერთად, საერთაშორისო კონფერენციისათვის - გონივრული აგროკულტურა და აგრარული ინოვაციები, შემუშავებულია წინასწარი პროგრამა. კონფერენცია შეეხება ევროკავშირის მწვანე შეთანხმების რამდენიმე კომპონენტს და ფოკუსირებული იქნება აგროკულტურის გონიერ დაფინანსებაზე, თუმცა ასევე საუბარი იქნება ფერმერების პროდუქტიულობის გაუმჯობესებასა და გარემოს მდგრადობის გაზრდაზე გონიერი აგროკულტურის გზით. კონფერენცია ჩატარდება საქართველოში, როგორც კი Covid-19-ის ვითარებაში ეს შესაძლებელი გახდება.

#4

#5

ჩვენ, 2021 წლისთვის ჩვენი საქმიანობის ფინანსური კომპონენტის გაზრდას ვუჭერთ მხარს PFI-ებს, რომლებსაც ახალ საფინანსო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსებაში საუკეთესო გამოცდილება აქვთ, რომელიც თავის მხრივ ციფრულ ეკონომიკასა და ახალ საფინანსო პროდუქტებს ეფუძნება, რაც ახალი კოლატერალური ფორმების მობილიზების საშუალებას მოგვცემს, როგორებიცაა ინვენტარიზაცია და სერტიფიცირებული საწყობები.

ზევიდან ქვევით: საინფორმაციო, საკონსულტაციო ცენტრების და კერძო ექსტენციის ცენტრების მხარდაჭერა



ჩვენი ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული :

- აგროკულტურისა და ღირებულებათა ჯაჭვის სტრატეგიულ კვლევებში
- ექსტენციის მეთოდოლოგიის ტრენინგებში
- ღირებულებათა ჯაჭვის ტექნიკურ ტრენინგებში.

ჩვენ ვატარებთ ღირებულებების ჯაჭვის ეკონომიკურ ანალიზს სიმინდის, მსხვილფეხა რქოსანი საქონელის გენეტიკასა და მაღალი ხარისხის ყველის განვითარების პოტენციალზე. მსგავსი კვლევები უკვე ჩავატარეთ კარტოფილზე, გარდა ამისა, მომზადდა საწყისი ბიზნეს გეგმა, შიდა ქართლის ვაშლის ბალების შესახებ.

უფრო მეტიც, ICC- ს ვუტარებდით ტრენინგებს ექსტენციის მეთოდოლოგიასა და საფრანგეთში ექსტენციის სერვისების ყოველდღიური პრაქტიკის შესახებ, ასევე მთლიანი მოგების კალკულაციის შესახებ. მთლიანი მოგების გაანგარიშებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს FinExCoop-ის მდგარობისთვის: ისინი გამოყენებული იქნება ფინანსური ინსტიტუტების მიერ, იმისათვის რომ ფერმერების შესაძლებლობები შეფასდეს, მათ მიერ სოფლის მეურნეობის შემოსავლის საშუალებით სესხების დაფარვის საკითხში. აღნიშნული ასევე გამოიყენება ახალი ტექნოლოგიების შეფასებისა და დემონსტრაციებისათვის.

Covid-19-ის მიუხედავად, წარმოების მიმწოდებელების და მოწინავე ფერმერებისათვის, ექსტენციის ტრენინგის ვრცელი პროგრამა მაინც ჩაგუშვით. როდესაც შესაძლებელი იქნება, ჩვენი ტრენინგი საკლასო და სავლე საქმიანობებს გაართიანებს, რომელსაც ასევე დაემატება უშუალოდ პრაქტიკით სწავლების ტრენინგი. თუმცა, Covid-19-იდან გამომდინარე, ასევე ვეყრდნობით ონლაინ ტექნოლოგიებს. ქართულ ენაზე არსებულ ყველა სასწავლო დოკუმენტს გთხოვთ, გაეცნოთ პროექტის ვებ-გვერდზე: (www.finexcoop.ge).

საქონლისა და რძის პროდუქტებისთვის ჩავატარეთ 12 ონლაინ ტრენინგი, რეპროდუქციული ტექნოლოგიების გენეტიკასა და ტექნოლოგიაში წამყვან საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად. სესიებს ესწრებოდნენ ვეტერინარები, სტუდენტები, ინსემინატორები და ფერმერები. საუბარი ეხებოდა სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის ძროხის ანატომიას, დაწყებული დაბადებიდან მომწიფებამდე, ესტრალური ციკლი, განაყოფიერება და ემბრიონის განვითარება, ორსულობა, მშობიარობა, მშობიარობის შემდგომი პერიოდი, ახურების პერიოდი, განაყოფიერების მომენტი, დაგრილება და ცხოველის სპერმის მომზადება, ინსემინატორის აღჭურვილობა, მისი მოქმედება, ძროხის სხეულის მდგომარეობა.

რძის და ყველის მცირე მასშტაბებით გადამამუშავების მიზნით, FinExCoop-მა სხვა საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად უკვე ჩაატარა ხუთი სასწავლო ტრენინგი, უშუალოდ რამდენიმე მცირე მენარმის საწარმოში. ტრენინგი ეხებოდა ფეტას, მოცარელას, ფრანგული სახეობის ტომეს, მანონისა და ქართული სახეობის ყველის - ტენილის წარმოებას. (ტრენინგის ვიდეოებისათვის იხილეთ www.finexcoop.ge)



პარალელურად, დავამყარეთ სტრატეგიული პარტნიორობა ფრანგულ-ქართულ უნივერსიტეტთან.

რომელიც 2020 წელს დაიწყო, საფრანგეთის რენე მეორისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების დამეგობრებით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საკვებისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელ ახალ ტექნოლოგიებზე.

ვაშლის თანამედროვე ბაღების შესახებ ჩვენმა საერთაშორისო ექსპერტებმა ჩაატარეს 15 საკლასო, ონლაინ და პრაქტიკით სწავლების ტრენინგი. ფიზიკური ტრენინგების უმრავლესობა ორგანიზებული იყო კასპსა და გორში RDA-ის დახმარებით. მსმენელებს შორის იყვნენ ხილის სპეციალისტები ICCS-დან და ფერმერები. ტრენინგი ვაშლის ბაღების სამუშაო ციკლს და ხეების გასუფთავებას ეხებოდა, მათ დაცვას მავნებლებისა და დაავადებებისგან, მოსავლის დატვირთვის მეთოდებს, კრეფის მეთოდებს, შენახვის პრინციპებს. პრაქტიკული სამუშაოები მეტწილად ფოკუსირებული იყო გასხვლაზე.



FinExCoop მომავალშიც გააგრძელებს ტრენინგებს ამ სფეროში, რადგან საბაზისო ცოდნა თანამედროვე ბაღების მოვლის შესახებ საქართველოში საკმაოდ მწირია. FinExCoop-ის მიერ მონახულებული ბაღები, პოტენციური მოსავლის მხოლოდ ნახევარს აწარმოებენ.

ჩვენმა საერთაშორისო ჯგუფმა, მენველი თხების შესახებ კიდევ 5 ტრენინგი ჩაუტარა ადგილობრივ სპეციალისტებს, თხების ფერმების პოტენციურ ინვესტორებსა და არსებულ ფერმერებს. სესიები ეხებოდა: ზოგადი შესავალი თხების მოშენებაში, ჯანმრთელობა, მოვლა და თხების საცხოვრებელი სახლის პირობები, მათი რეპროდუქციის მენეჯმენტი, გენეტიკის გაუმჯობესება და მენველი თხების კვება.

საერთო ჯამში, 2019 წლის ოქტომბრიდან, ანუ დაარსების დღიდან, Covid-19-თან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, FinExCoop-მა შეძლო 38 ტრენინგის ორგანიზება, ღირებულებათა ჯაჭვის ტექნიკურ მენეჯმენტში, დღეში 945 მსმენელით. ქალები მსმენელთა 25%-ს შეადგენდნენ.

2021 წელს ჩვენ განვაგრძობთ ტრენინგებს RDA/ICCs-თან და სხვა განვითარების ორგანიზაციებთან. იმ ტრენინგების შემთხვევაში, რომლებიც ჩატარდება ონლაინ რეჟიმში ან საკლასო ოთახში, ყურადღება გამახვილდება პრაქტიკულ ტრენინგებზე. სხვა ტრენინგების შემთხვევაში, იქნება თეორიული სწავლების სისტემური კომბინაცია საკლასო ოთახებში და მათი ონლაინ რეჟიმში მომზადება. ყველა სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ენაზე FinExCoop-ის ვებ-გვერდზე.

ტრენინგის ფოკუსი მიმართული იქნება შემდეგზე:

- საკვები მცენარეული კულტურების წარმოება, მოსავლის აღება და კონსერვაცია
- კარტოფილი და სათესლე კარტოფილი
- საკვები, მკვებავი და რძის ხარისხი
- რძის მნიშვნელობის გაზრდა

ზევიდან ქვევით: კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა

FinExCoop-ის დაარსების შემდეგ, RDA-ს მხარდაჭერით, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ბევრ კოოპერატივთან, რათა განვსაზღვროთ მათ წინაშე არსებული ძირითადი შეფერხებები და ვცდილობთ გადავჭრათ ისინი. ჩვენ ასევე გვქონდა ბევრი გაცვლითი ღონისძიება კოოპერატივის განვითარების სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ევროკავშირის ექსპერტთა გუნდთან, რომელიც მონაწილეობდა წინა ENPARD პროექტების კოოპერატიული კომპონენტის შეფასებაში.

FinExCoop-ის ფარგლებში, ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა კოლეგებთან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით კოოპერატივების შექმნისთვის, ფრანგული CUMA-ს გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

საქართველოში არსებობს ურთიერთსაინააღმდეგო მოსაზრებები კოოპერატივების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მათ გარეშე რთულია მცირე და საშუალო ფერმერების ეფექტური სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ თემაზე ნაყოფიერი დისკუსიის შექმნისათვის, ჩვენ მოვანყობთ საერთაშორისო ონლაინ კონფერენციას კოოპერატივების შესახებ, რომელიც ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეებისათვის. ამ კონფერენციის მოსამზადებლად და საერთო მოსაზრებების შესაქმნელად, თუ რა უნდა გაკეთდეს, RDA-სთან ერთად, ჩვენ შევქმენით დაინტერესებული მხარეების კოოპერატივებზე მომუშავე ჯგუფი. უკვე ჩატარდა ორი ონლაინ სემინარი 2020 წლის ოქტომბერში და დეკემბერში, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კოოპერატივის განვითარებაში მონაწილე ძირითადი ინსტიტუტები.

ქვევიდან ზევით განვითარება: FINEXCOOP ისაპილოტე განვითარების პროექტები

FinExCoop-ის საპილოტე განვითარების პროექტები მიზნად ისახავს საქართველოს დაკავშირებას სოფლის მეურნეობის საუკეთესო ტექნოლოგიებთან ორთაღოვანი ხიდის მიდგომით, არსებული თანამედროვე დიდი ფერმების გამოყენებით, ახალი ტექნოლოგიების შესამოწმებლად და ახალი თაობის სპეციალისტების გადამზადებას, მცირე ფერმერთათვის გადაცემამდე. საპილოტე პროექტების ფარგლებში, ჰოლისტიკური ღირებულების ჯაჭვის მიდგომაში, ჩვენ ვიყენებთ ბაზრის სრულ ძალებს - მომხმარებლის ჩანგლიდან ფერმერის სამკაპამდე.



ჩვენი საპილოტე პროექტები მიზნად ისახავს ინტეგრირებული განვითარების პლატფორმების შექმნას, რომლებშიც ჩართულნი იქნებიან დაინტერესებული მხარეები და რომლებსაც შეეძლებათ აგრო-კლასტერების შექმნა. ისინი მოიცავენ FinExCoop-ის სამ განზომილებას: უკეთეს წვდომას ფინანსებზე, უკეთეს წვდომას ტექნოლოგიებზე და ნოუ-ჰაუს გაუმჯობესებული ექსტენციით, ფერმერების უკეთეს კოორდინაციას მათი კოოპერატივების განვითარებით.

2021 წლის მარტისთვის, FinExCoop-ს უკვე აქვს 4 საპილოტე პროგრამა მერძევეობასა და მესაქონლეობაში, და ასევე - შკარტოფილის წარმოებაში. საპილოტე პროექტებში პარტნიორები შეირჩა მკაცრი შერჩევის გზით. პილოტისათვის განკუთვნილი კომიტეტის მიერ, AFD-ს და RDA-ს ერთობლივი ხელმძღვანელობით. პილოტების შეფასება ხდება ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური კრიტერიუმების კომბინაციის საფუძველზე. FinExCoop-ი პილოტებში არ უზრუნველყოფს რაიმე სახის გრანტს პარტნიორებისათვის. ჩვენი როლია დავეხმაროთ მათ, რომ შექმნან და განახორციელონ ინტელექტუალური განვითარების სტრატეგიები, კოლექტიური განზომილებით და მათთან ერთად მოვახდინოთ ინოვაციური ტექნოლოგიების ტესტირება. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ ტექნოლოგიების ექსპერიმენტირება არასდროს მომხდარა, ჩვენ უფასოდ ვაწვდით რესურსებს, რადგან პარტნიორებისათვის არსებობს დიდი ტექნიკური რისკი. ისეთ შემთხვევებში, კი როდესაც ამ ტექნოლოგიების ექსპერიმენტირება უკვე მომხდარა, შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელია. მაგალითად, ფერმერებმა, რომლებმაც მიიღეს 2020 წლის აპრილში ელიტური ან A კლასის კარტოფილი, მომდევნო წელს FinExCoop-ის მიერ მიწოდებული თითოეული კილოგრამისათვის, FinExCoop-ის მიერ ლიცენზირებულ ახლომდებარე ფერმერებს უნდა გადასცენ ორი კილოგრამი გადამამუშავებული თესლი (ფორს-მაჟორული შემთხვევების გამონაკლისით), მიკრო-მტევნების შესაქმნელად.

FinExCoop-ის დაახლოება ჩვენს პილოტებთან ეტაპობრივად ხდება. პირველ რიგში, ჩვენ ვაყალიბებთ ნდობას კონკრეტული ექსპერიმენტული სამუშაოების საშუალებით, რაც არ საჭიროებს დიდ ინვესტიციებს, როგორცაა სადემონსტრაციო ნაკვეთები ან ახალი ტიპის დამუშავება არსებული აღჭურვილობის გამოყენებით, შემდეგ კი ყურადღება ექცევა გრძელვადიან მიდგომებს, როგორცაა კოოპერატივების შექმნა.



სადემონსტრაციო ნაკვეთები ხორბლის, ქერის, ტრიტიკალესა და ზამთრის საკვები ნარევებისათვის

ხორბლის (რბილი და მყარი), ქერისა და ტრიტიკალეს პირველი საცდელი ვარიანტების გამოყენება, ჩვენი საქმიანობის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, 2019 წლის ოქტომბერში. ექსპერიმენტისთვის თესლი უფასოდ მოგვანოდა საერთაშორისო ლიდერმა. მან ასევე მოამზადა საცდელი ვარიანტები ზამთრის საკვების ნარევით, რომელიც გამოყენებულ იქნა სხვა საერთაშორისო ლიდერის მიერ, უფასოდ მოწოდებული თესლის შეთავსებისათვის. ყველა თესლი იმპორტირებულია ადგილობრივი დისტრიბუტორის მეშვეობით. საცდელი ვარიანტები გაკეთდა ადგილობრივების მეშვეობით, არხილოსკალოში, დედოფლისწყაროში, შირაქის ხეობის ტენიან ადგილებში. აღნიშნულ ადგილებში, აგრონომიული პირობები ძალიან ცუდი აღმოჩნდა: უკიდურესად მშრალი ზამთრის შემდეგ, გაზაფხული ძალიან ცივი იყო. მათ უარყოფითად იმოქმედეს მოსავლიანობაზე კახეთში. ამის მიუხედავად, შედეგები მაინც დამაკმაყოფილებელი იყო. ზამთრის საკვები ნარევი მიღებულ იქნა აპრილში თივის სახით, სიმინდის დათესვამდე. რაც შეეხება მარცვლეულს, როგორც მოსალოდნელი იყო, ტრიტიკალი უფრო მდგრადი აღმოჩნდა, როგორც არასასურველი კლიმატური პირობების, ასევე მყარი ხორბლის მიმართ, რომლისთვისაც შეიძლება შემდგომში, შირაქის ხეობაში დადებითად განვითარდეს, იმ შემთხვევაში, თუ მაკარონის ადგილობრივი გადამამუშავებლები დაინტერესებულნი იქნებიან ქართველ ფერმერებთან თანამშრომლობით.



2020 წლის ივლისში, მოსავლის აღებისას, ფერმერმა მოაწყო საცდელი დღე. გამოიანგარიშეს მოსავლიანობა და აგრეთვე თესლის შემდგომი აღმოცენების სიჩქარე. თითოეული ტიპის თესლისთვის FinExCoop-მა ასევე გამოითვალა ფერმერის მთლიანი მარჟა და მოგება. დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ საიტებზე: www.finexcoop.ge და www.finexcoop.com.



ბარდას სადემონსტრაციო ნაკვეთები

საქართველოში პირუტყვის კვების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კარგი და იაფი ცილების მიღებაა. დღესდღეობით, საქართველოში თანამედროვე რძის მეურნეობები მნიშვნელოვნად ეყრდნობიან იმპორტირებულ სოიოს ხორცს, რომლის ფასიც ლარში 50%-ით გაიზარდა უახლოეს წარსულში. ჩვენ გვჯერა, რომ პარკოსანი კულტურები, როგორცაა ბარდა, ხელს შეუწყობს სოიოს ძვირადღირებული იმპორტის ჩანაცვლებას და ასევე შეასრულებს აგროტექნიკის როლს კულტურების როტაციაში. ჩავატარეთ ორი საცდელი ექსპერიმენტი ბარდის თესლით, ერთი არხილოსკალოში ზამთრის ბარდაზე და ერთი წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ საყდრიონში, ზღვის დონიდან 1,450მ სიმაღლეზე, გაზაფხულის ბარდაზე. რაც შეეხება ხორბალს, ქერს და ტრიტიკალს, 2019 წლის ზამთრის სეზონში ძალიან მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა კახეთში გამოიწვია ცუდი მოსავლიანობა (1.4 ტონა ჰექტარზე). მაგრამ გაზაფხულის ბარდას შემთხვევაში, შედეგები კარგიდან შესანიშნავამდე მერყეობდა (2.8 ტონა ჰექტარზე და 4.5 ტონა ჰექტარზე).



ბარდა ახალი პროდუქტი იყო ქვემო ქართლსა და კახეთში, და FinExCoop- ის გუნდმა შეძლო დაერწმუნებინა თავისი პილოტი ფერმერები, რომ მომავალში ამ მოსავლის მოყვანა განაგრძონ.

შესაბამისად, ექსპერიმენტული ნაკვეთების ახალი ციკლი ამოქმედდა 2020 წლის შემოდგომაზე. ამასობაში, ჩატარდა ექსპერიმენტი სხვა კულტურაზე, რომელსაც ასევე შეუძლია ჩაანაცვლოს სოიოს იმპორტი, იგულისხმება რაფსის თესლი (რაფსის აქვს 36% ცილის შემცველობა, თითქმის იმდენივე, რამდენიც სოიოს ხორცს). ამ მცენარეს, არამყარი აზოტისმაგვარი პარკოსნებისგან განსხვავებით, აქვს ღრმა ფესვების სისტემა, რასაც დადებითი აგრონომიული გავლენა აქვს ნიადაგის გახსნისას. ამიტომ, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსავლის ახალ როტაციაში. რაფსის დათესვა აგრეთვე შესაძლებელია ზამთარში, მწვანე საფარის სახით, რათა დაიცვას ნიადაგი ეროზიისგან და წარმოქმნას მწვანე მასა. რაფსი ფართოდ არის კულტივირებული ევროკავშირში საკვები ზეთის და ბიო დიზელის მისაღებად. საცდელი ვარიანტებისათვის თესლი მოწოდებულ იქნა უფასოდ კიდევ ერთი საერთაშორისო ლიდერის მიერ, ადგილობრივი დისტრიბუტორის მეშვეობით.



სადემონსტრაციო ნაკვეთები სიმინდისათვის

სიმინდი, მთლიანი ფართობის მიხედვით საქართველოში პირველი კულტურაა და სავარაუდოდ, მას ზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს. საქართველოში შესანიშნავი ნიადაგებია, ზაფხულის თბილი ტემპერატურა და წყლის დიდი რაოდენობა, რომლებიც წარმოიქმნება წვიმის ან მორწყვის შედეგად. სიმინდის მაღალი მოსავლის მისაღწევის წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მარცვლეულისთვის, ასევე პირუტყვის საძოვრად. სამწუხაროდ, საქართველომ ჯერ ვერ შეძლო შედარებითი უპირატესობის გამოყენება. 2018 წელს მისი მოსავალი სხვა ქვეყნებთან შედარებით იყო მწირი - 2.7 ტონა ჰექტარზე, სომხეთი 5.5 ტონა ჰექტარზე, აზერბაიჯანი 7.8 ტონა ჰექტარზე, თურქეთი 9.6 ტონა ჰექტარზე და ესპანეთი 11.9 ტონა ჰექტარზე. თავად საქართველოში, კერძოდ კი, კახეთში, ზოგიერთი ფერმა იღებს 15 ტონას ჰექტარზე წვეთოვანი მორწყვით, ჰიბრიდული თესლითა და მოსავლის ეფექტური მენეჯმენტით. აქედან გამომდინარე, ზრდის პოტენციალი ძალიან დიდია.

Covid-19-თან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, ჩვენ შევძელით დაგვერწმუნებინა კოოპერატივი Limagrain - თესლის მესამე ყველაზე მსხვილი მწარმოებელი მსოფლიოში, დაეწყო ექსპერიმენტული ცდები სიმინდზე, როგორც პირველ, ისე მეორე მოსავალზე, ხორბლის ან ქერის ადების შემდეგ. თესლი მოწოდებულ იქნა უფასოდ, ადგილობრივი დისტრიბუტორის მეშვეობით. ჩვენ მოვანყვეთ სადემონსტრაციო ნაკვეთები კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ყველაზე ბოლო რეგიონში, პარტნიორობა დამყარდა ფერმერთა ასოციაციასთან - ერთობა, რომელსაც მხარს უჭერენ არასამთავრობო ორგანიზაციები Fert და CBDC.




ნაკვეთების უმეტესობის შედეგები კარგი იყო - მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს სარეველების უკეთ გასაკონტროლებლად. ასევე, შესაძლებელია ჯიშების უფრო ზუსტად არჩევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიმინდი გამოიყენება მეორე მოსავლისათვის. მოსავლიანობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, საჭიროა უკეთესი მორწყვის სისტემა და ამასთანავე სასუქი უნდა შეიცავდეს მიკრო და მაკრო ელემენტებს. და ბოლოს, სილოსის მოსავლის ადების საკითხი არის კრიტიკული. ამის გადასაჭრელად, ჩვენ მივყვებით CUMA-ს ფრანგულ მოდელზე დაფუძნებული კოოპერატივების განვითარებას.

სადემონსტრაციო ნაკვეთები ჭარხლისათვის

სიმინდის მსგავსად, ჭარხალი ენერჯის შესანიშნავი წყაროა პირუტყვისთვის. მაგრამ სიმინდისგან განსხვავებით, მათ არ სჭირდებათ მძიმე და ძვირადღირებული მოწყობილობა მოსავლის ასაღებად და შესანახად. თუ მოსავალი კარგად არის მართული, მოსავალმა შეიძლება მიაღწიოს 100 ტონას ჰექტარზე, რაც ჭარხალს ყველაზე პროდუქტიულ საკვებ კულტურად აქცევს. ჭარხლის გაშენება შესაძლებელია, როგორც მსხვილი ფერმერების მიერ ღია მიწებში, ასევე სოფლის მოსახლეობის მიერ ბოსტანში. ისინი შეიძლება მოხვდნენ სხვა კულტურებთან, კარტოფილის ჩათვლით, კულტურების როტაციაში, რადგან მათზე ზეგავლენას არ ახდენს იგივე პათოგენები. მაღალი პროდუქტიულობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის, რომელიც ხშირად აციდობს განიცდის, ჭარხალი სილოსის სიმინდთან ერთად დადებით პროფილაქტიკურ როლს ასრულებს

ჭარხლისათვის თესლი უფასოდ უზრუნველყო საერთაშორისო ლიდერმა, ადგილობრივი დისტრიბუტორის მეშვეობით. თესლის განაწილების დროს, ექსპერიმენტში მონაწილე ყველა ფერმერს გადაეცა ბროშურა, რომელშიც აღწერილი იყო FinExCoop-ის ექსპერტების მიერ შემუშავებული ჭარხლის კულტივაციის ძირითადი საკითხები, რომლებიც რეგულარულად სტუმრობდნენ მინდვრებსა და რეკომენდაციებს აძლევდნენ თესლის კალაპოტის მომზადებიდან მოსავლის აღებამდე. ძირითადად, შედეგები საკმაოდ კარგი იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფერმერებმა შესაბამისი დასათესი აღჭურვილობის არარსებობის გამო, თესლი ძალიან ღრმად დარგეს, რამაც გამოიწვია აღმოცენების პრობლემები.

2020 წლის 2 ოქტომბერს ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ არტევანში, პილოტი ფერმერის მურთაზ წულუკიძის ნაკვეთში მოვანყვეთ სადემონსტრაციო დღე. მას ესწრებოდნენ ევროკავშირისა და FAO ENPARD-ის წარმომადგენლები, FinExCoop-ის სხვა პილოტი ფერმერები, მეზობელი ფერმერები და მიმწოდებლები. მონაწილეებმა ნახეს ხუთი სახეობის ჭარხლის შთამბეჭდავი შედეგი, რომელიც იყო 80 ტონა ჰექტარზე. მონაწილე ფერმერები გეგმავენ, რომ მომავალ წელს თავიანთი მიწებების ნაწილი, მათ შორის ბოსტანები, ამ პროდუქტიულ ჯიშებს დაუთმონ.



კარტოფილის სადემონსტრაციო ნაკვეთები

FinExCoop- ში 8 საპილოტე პროექტი განვახორციელეთ შიდა ქართლისა (წალკა) და სამცხე - ჯავახეთის (ახალქალაქი, ასპინძა, ახალციხე) ტერიტორიაზე. მუშაობის პირველ წელს გადავწყვიტეთ, რომ კონცენტრირება ექპერიმენტულ და სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მოგვეხდინა. თითოეულ საპილოტე პროექტში გაანალიზდა აგრონომიული პირობები, არსებული კლიმატური პირობების შეგროვებისა, და ნიადაგის ნიმუშების საფრანგეთში გაგზავნის საფუძველზე, რამაც საშუალება მოგვცა ზუსტი რეკომენდაციები გაგვეცა სასუქების, მიკრო და მაკრო ელემენტების შესახებ. ჩვენმა საერთაშორისო ტექნოლოგიურმა პარტნიორმა და მისმა ადგილობრივმა დისტრიბუტორმა საპილოტე პროექტის ფარგლებში 20 ტონა თესლი მოგვანოდეს. FinExCoop - მა ასევე უზრუნველყო ტექნიკური დახმარება სამუშაოების პირველი ეტაპიდან, მოსავლის აღებამდე, როგორც უშუალოდ ადგილზე, ისე ონლაინ არხების საშუალებით.



2020 წლის 2 სექტემბერს, მერუჯან ეზოიანის სადემონსტრაციო ნაკვეთი, რომელიც ახალქალაქში, სამცხე-ჯავახეთში მდებარეობს, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა FAO- სთან ერთად მოინახულა. სეტყვის მიუხედავად მოსავალი კარგად გამოიყურებოდა. მოსავალის აღებისთანავე, წალკის რეგიონში მოეწყო კარტოფილისა და ჭარხალის სადემონსტრაციო დღე. საპილოტე ფერმერმა მურთაზ წულუკიძემ მოსავლის სახით აიღო 4 სხვადასხვა ტიპის 30 ტონა კარტოფილი, რაც პრაქტიკულად რეგიონის მოსავლის საშუალო მაჩვენებელს წვეთოვანი მორწყვის გარეშე, - 11 ტონას ჰქვია, დადგინილი საქსტატის მიერ 2019 წელს, სამჯერ აღემატება. ფერმერი მკაცრად მისდევდა FinExCoop-ის ექსპერტების რეკომენდაციებს, ფოთლების მოშორებით კარტოფილის ზრდის შეწყვეტისა და სექტემბრის თვეში მორწყვისგან თავის შეკავების შესახებ. მას რომ კარტოფილის ზრდა მოსავლის აღებამდე გაეგრძელებინა, მოსავალი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა.

თითოეული საპილოტე პროექტისთვის, მოსავლის აღების შემდეგ გაკეთდა მოსავლიანობისა და მთლიანი მოგების კალკულაცია. შედეგებმა აჩვენა, თუ რამდენად მომგებიანია უკეთესი სათესლე მასალის გამოყენება და ტექნიკური რეკომენდაციების დაცვა. გარდა ამისა, ჩვენმა გუნდმა პილოტ ფერმერებს სხვადასხვა მცენარეების თესლი მიაწოდა, იმისათვის რომ ხელი შეეწყოს მოსავლის როტაციისათვის, რაც მავნებლებისა და დაავადებების შემცირებით, მეორე ყველაზე მნიშვნელოვანია ფაქტორია მოსავლიანობის გაზრდისათვის.

საერთო ჯამში, 8 პილოტ ფერმერთან ერთად, ჩვენი გამოცდილების პირველი წელი ძალიან ნაყოფიერი იყო. 2021 წლისთვის ჩვენი ორგანიზაცია ამ წარმატებას უკეთესი სათესლე მასალის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით გააგრძელებს, რაც უკეთესი მოსავლის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა წამყვანი საერთაშორისო კომპანია, რომლებიც თავიანთ პროდუქტს საქართველოში ყიდნიან, გავაერთიანოთ საუკეთესო ადგილობრივ ფერმერთან, იმისათვის რომ შეიქმნას კარტოფილის პიონერთა ჯგუფი, რომლებიც დადებითად იმოქმედებენ ღირებულების ჯაჭვის მოდერნიზაციაზე.

ამ სფეროში, სხვა წამყვანი დაინტერესებული მხარეების ჩართვით, როგორებიც არიან: განვითარების ორგანიზაციები, ალტურვილობებისა და დამხმარე რესურსების მიმწოდებლები, ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს მოსავლიანობის გაზრდაში კატალიზატორის როლი შევასრულოთ, როგორც ეს მოხდა 2018 წელს თურქეთის შემთხვევაში, 38%-იანი ზრდით.

რა იქნები შემდეგი?

Covid-19-იდან გამომდინარე, FinExCoop-ის პირველი წელიწადნახევარი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მაგრამ პანდემიამ სხვა შესაძლებლობებიც შექმნა. **მაკრო დონეზე, აშუამად გაჩნდა მოთხოვნა, რომ აგროკულტურა და აგრობიზნესი საქართველოს ეკონომიკის მთავარ ვექტორებად იქცნენ.** გაზრდილი პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა ახლა არა არჩევანს, არამედ ვალდებულებას წარმოადგენს. ამასთან, ისინი სოციალურ-ინკლუზიური გზით უნდა იქნეს მიღწეული და მეტი ყურადღება დაეთმოს გარემო რესურსების შენარჩუნებას, საქართველოს გასაოცარი ბიომრავალფეროვნების ჩათვლით. ყოველდღიური მუშაობის შედეგად, ასევე შევისწავლეთ ციფრული კომუნიკაციების ჩანაცვლება, სასწავლო და სამწვრთნელო საქმიანობის ტრადიციული ფიზიკური თავშეყრით. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ღონისძიებებს მომავალშიც ვგეგმავთ, როგორცაა მაგალითად საერთაშორისო კონფერენციები, კვლავაც განვაგრძობთ ციფრული შესაძლებლობების გამოყენებას, რაც საკმაოდ მოქნილი აღმოჩნდა, კერძოდ, მათი დახმარებით, ტრენინგ-სესიებზე დასასწრებად, მოკლე დროში შესაძლებელია მონაწილეების შეკრება მთელი საქართველოდან.

FinExCoop- ის სტრატეგია კვლავაც დაეყრდნობა ზევიდან-ქვევით და ქვევიდან-ზევით მიდგომების კომბინირებულ აქტივობებს. სტრატეგიული კვლევებისა და სავლე პრაქტიკების საშუალებით, FinExCoop-ს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აგროკულტურასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. აღნიშნული მონაწილეობა კიდევ უფრო გამყარდება სამი საერთაშორისო კონფერენციის საშუალებით, რომლებსაც მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოვანყობთ, კოოპერატივების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობით, რომელსაც RDA- სთან ერთად ვგეგმავთ და სხვა მსგავსი ღონისძიებებით, ორგანიზებული სხვების მიერ, თუ მათთან თანამშრომლობით.

ქვევიდან ზემოთ მიდგომის დონეზე, ჩვენ განვაგრძობთ „სამი ტ“-ს სტრატეგიას: **ტესტი, ტრენინგი და ტრანსფერი**. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი ღონისძიებების ჩამონათვალს, ცალკე სტატიის დათმობა სჭირდება, ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამავილებთ.



რაც შეეხება ტესტს, ჩვენ ვგეგმავთ გენეტიკურ ინიციატივას MEPA- სა და საქონლის ხორცის/ რძის პროდუქტების განვითარების სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კოორდინაციით. აღნიშნული ინიციატივა სხვადასხვა ქვეყნებში გამოცდილ, წარმატებულ წესდებებსა და ჩვენ მიერ ჩატარებულ 2020-ის ტრენინგებს დაეფუძნება. მისი მიზანი მცირე და საშუალო ქართველი ფერმერების ხელოვნური განაყოფიერების საუკეთესო პრაქტიკებთან დაკავშირება იქნება (2019 წელს მსხვილფეხა საქონლის თესლის იმპორტი 30 000 აშშ დოლარი დაჯდა, რაც 10,000 დოზას უდრდა, რაც მეტწილად განკუთვნილი იყო უფრო დიდი ფერმებისთვის).

ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებისთვის, ექსპერიმენტული აგროტექნიკური სამუშაოები გააქტიურდება, სადაც ჩართული იქნება FinExCoop-იც: ახალი სახის მარცვლეული, თესლები, ტექნოლოგიური პარტნიორები სეზონური მარცვლეულისთვის. **ახალი ტექნოლოგიების გამოყენება**, როგორცაა ნულოვანი წნევა FAO ENPARD- თან მჭიდრო კოორდინაციით, რომელიც ლიდერია ამ სფეროში. თანამედროვე ბალებისათვის FinExCoop განაგრძობს ტრენინგებისა და სწავლებების ციკლს, კომპლექსური მავნებლების მართვის შესახებ. ჩვენი მთავარი მიზანია, მცირე ზომის კლიმატურ სადგურებზე დაყრნობით, ხელი შევუწყოთ ციფრული სისტემების გამოყენებას, მავნებლების უკეთესად სამართავად.

ფერმების შემდეგ, ჩვენ ასევე ვგეგმავთ ექსპერიმენტულ სამუშაოებს განსაკუთრებით მაღალი ღირებულების მქონე სფეროსთვის. ძროხისა და თხის რძის შესახებ, FinExCoop კიდევ უფრო მეტ ტრენინგს ჩაატარებს, რაც აქამდე უკვე საკმაოდ დადებითი შედეგებით მიმდინარეობს. აღნიშნული კომპონენტი საქართველოს ტექნიკურ და ფრანგულ-ქართულ უნივერსიტეტთან ერთად მჭიდრო პარტნიორობით განხორციელდება, რომლებიც მალე წარადგენენ ექსპერიმენტულ ბაზას, რძის პროდუქტების გადამუშავებისათვის ახალი ტექნოლოგიების შემოწმების მიზნით.

სატესტო ექსპერიმენტული საქმიანობის პარალელურად, ჩვენ განვაგრძობთ ტრენინგების კიდევ უფრო მეტად განვითარებას RDA / ICC და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით. 2021 წლის გაზაფხულზე ტრენინგი ჩატარდება ყველა იმ მარცვლეულის შესახებ, რომლებიც უკვე შემოწმებულია FinExCoop- ის მიერ ან უახლოეს მომავალში შემოწმდება. მათ შორის იქნება: ტრენინგი მარცვლეულის შესახებ (ხორბალი, ქერი, ტრიტიკალი), ბარდა, ქოქოსის თესი, ჭარხალი, სიმინდი, კარტოფილი და სორგო.

2021 წლისთვის, ჩვენი მიზანია შევქმნათ, ქართულად ნათარგმნი სატრენინგო მასალების **მტკიცე „ბიბლიოთეკა“** თითოეული ღირებულებათა ჯაჭვისათვის. ჩვენ რეგულარულად განვაახლებთ თეორიულ ტრენინგებს პრაქტიკული სამუშაოებით, რაც სადემონსტრაციო დღეებში, ერთად შეკრებს ფერმერებსა და ექსტენციონისტებს.

FinExCoop-ის პოზიტიური შედეგების გავრცელება მოხდება ადგილობრივ დონეზე, პარტნიორი კოოპერატივების პრომოციის გზით, და ეროვნულ დონეზე MEPA / RDA- სთან და საქართველოში არსებული აგრარული სექტორის განვითარებით დაინტერესებულ პირებთან რეგულარული კოორდინაციით.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ელ. ფოსტაზე info@finexcoop.ge ან
ტელეფონის შემდეგ ნომერზე +995 599 30 57 58.

გთხოვთ ასევე ეწვიოთ ჩვენ ვებ და *Facebook*. გვერდს.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია
FinExCoop-ი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



გამონერაბე უარის თქმა